

დისკრიმინაციის წახალისების რეგულირება - ევროპის საბჭოს ქვეყნების
მაგალითზე

თამუნა მამუკაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საჯარო სამართლისა და პოლიტიკის ფაკულტეტის საჯარო სამართლის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამუნა მამუკაშვილი

02.07.2022

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დისკრიმინაციის წახალისების რეგულირების ანალიზი ევროპის საბჭოს ქვეყნების მაგალითზე. აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციული რეგულაციების მოდიფიკაცია დისკრიმინაციული კანონების, ნორმებისა და რეგულაციების შეცვლის ვალდებულებაა, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს გაეროს ანტიდისკრიმინაციის კონვენციებიდან, რაც სავსებით ლოგიკურია, რადგან დისკრიმინაციული რეგულაციები და ნორმები საფუძვლად უდევს მათ საფუძველზე განხორციელებულ მრავალ დისკრიმინაციულ ქმედებას. ამავე კონტექსტში, ხაზგასმული უნდა იყოს კონვენციების მოთხოვნა, რომ სახელმწიფოებმა შეცვალონ დისკრიმინაციული წეს-ჩვეულებები და ჩამოაყალიბონ დისკრიმინაციის წახალისების შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები. ადამიანის უფლებების უნივერსალურობის გათვალისწინებით, ჩვეულებების შეცვლის ვალდებულება შეიძლება იყოს მისაღები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ვენის ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციაზე გამოთქმული მიდგომა, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებები უნივერსალურია და უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველასთვის. ამასთან, თანასწორობის უფლების დაცვის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება გამოიხატება შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის არსებობით, რაც საშუალებას მისცემს ადამიანს დაიცვას თავისი უფლება, როცა მას ჩვეულება ეწინააღმდეგება.

ნაშრომში დასმული საკითხის ფარგლებში წარმოდგენილია დისკრიმინაციის ზოგადი მიმოხილვა, დისკრიმინაციის არსის მიმოხილვა, დისკრიმინაციის ფორმების ანალიზი, ასევე დისკრიმინაციის გამორიცხვის საფუძვლები, ასევე წარმოდგენილია დისკრიმინაციის აკრძალვის აღმზრდელობითი ფუნქციის ანალიზი. განსაზღვრულია თანასწორობის გაძლიერებისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები, აგრეთვე თანასწორობის პრინციპის ანალიზი საქართველოს კონსტიტუციაში. აგრეთვე გაანალიზებულია ევროკავშირის ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა, განხორციელებულია პოზიტიური მოქმედების, როგორც ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის ნაწილის შესწავლა, ევროკავშირის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის, ანტირასიზმის და ჩარჩო დირექტივების

მიმოხილვა, დისკრიმინაციის წახალისების რეგულირების ანალიზი, დისკრიმინაციის კონცეფციის შესწავლა გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით. ნაშრომის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა დისკრიმინაციის წახალისების, როგორც ერთ-ერთი არსებითი გამოწვევის ანალიზი, მათ შორის კვლევის ამოცანა იყო შეესწავლა შემდეგი საკითხები: ქალების მიმართ სექსისტური დამოკიდებულება, როგორც დისკრიმინაციის წახალისების ფორმა; რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამები; დისკრიმინაციული გამოსვლის, მოქმედების თუ სიმულვილის ენა, როგორც დისკრიმინაციის წახალისების ერთ-ერთი ფაქტორი.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის (თითოეული თავი დაყოფილია რამდენიმე ქვეთავად) და დასკვნისგან.

საკვანძო სიტყვები: დისკრიმინაცია, თანასწორობა, წახალისება, რეგულირება, სახელმწიფო.

Abstract

The aim of this master's thesis is to analyze the regulation of the promotion of discrimination on the example of the countries of the Council of Europe. It should be noted that the modification of discriminatory regulations is the obligation to change discriminatory laws, norms and regulations directly derived from the UN anti-discrimination conventions, which is quite logical, because discriminatory regulations and norms are the basis of many discriminatory actions carried out on their basis. In the same context, it should be emphasized the requirement of the conventions that the states change the discriminatory customs and establish the appropriate legal regulations to encourage the discrimination. Given the universality of human rights, the obligation to change customs may be acceptable. In this regard, the approach expressed at the World Conference on Human Rights in Vienna is important, according to which human rights are universal and must be ensured for all. At the same time, the positive obligation of the state to protect the right to equality is expressed by the existence of an appropriate legal and institutional framework, which will allow a person to protect his right when custom contradicts him.

Within the framework of the issue raised in the work, a general overview of discrimination, an overview of the essence of discrimination, an analysis of the forms of discrimination, as well as the grounds for excluding discrimination, and an analysis of the educational function of the prohibition of discrimination are presented. The mechanisms for strengthening equality and fighting against discrimination are defined, as well as the analysis of the principle of equality in the Constitution of Georgia. The anti-discrimination policy of the European Union is also analyzed, the study of positive action as a part of the anti-discrimination policy, the review of the anti-discrimination legislation of the European Union, anti-racism and framework directives, the analysis of the regulation of the promotion of discrimination, the study of the concept of discrimination according to the German legislation are carried out. One of the tasks of the paper was to analyze the promotion of discrimination as one of the essential challenges, among which the task of the research was to study the following issues: sexist attitude towards women as a form of promotion of discrimination; Expressions

encouraging discrimination against religious and ethnic minorities; Discriminatory speech, action or hate speech as a factor in encouraging discrimination.

The master's thesis consists of an introduction, three chapters (each chapter is divided into several subsections) and a conclusion.

Key words: discrimination, equality, encouragement, regulation, state.